ტელეფ. 6-60 წელიწადი 1913 მესამე ტელეფ 6-60

ორშაბათი, 18 ნოემბერი № 150

თეატრი

ორშაბათი 18 ნოემბერი № 150

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ. 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის წუგეულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში Ольгинская, 4 д. Діасамидзе ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება აქვე კვირა უქმე დღეებს გარდა

საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე გაზ.

წელიწადი მესამე. „თეატრი“ წელიწადი მესამე.

ღირს 50 კაპ.

ადრესის გამოცვლა თბილისის გარეშე—40 კაპ.

ვინც გაზეთის წლიურ ფასს—2 მან. 50 კაპ. ერთბაშად წარმოადგენს, მიიღებს ორ პრემიას: 1) ს. აბაშელის ლექსთა კრებულს „მზის სიცილს“ და 2) კ. მაუაშვილის ლექსთა კრებულს

რედაქცია და კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდის—Ольгинская, 4, д. Діасамидзе. ტელეფონი 6-60

ПОСТАВЩ. ДВОРА Е.И.В. ВЕЛ. КН. НИКОЛАЯ МИХАИЛОВИЧА

ЗАКР. ОТД. ПРОМЫШЛ. ФАБРИЧ. ЗНАКЪ

ТД БОЗАРДЖІАНЦЪ СЪ С-МИ ВОЗАРДЖІАНЦ

გამოშვებულია!!!

ახალი პაპიროსები

„საგანგებო“

20 ცალი 5 კაპ.

ეს პაპიროსები ჩაწყობილია **უბრალო ყუთში** რაც შეძლებას იძლევა შიგ **საუკეთესო** ხარისხის თამბაქოს ჩაწყობისას.

იყიდეგა ყველგან

რადგანაც ჩვენი ეთიკეტების მიბაძვით ყალბი ეთიკეტების კეთებას ბოლო არ ეღება, რასაც ჩვენი მუშტრები შეცდომაში შეჰყავს, ვსთხოვთ თამბაქოს მომწევთ ყიდვის დროს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის დამტკიცებულ მარკას და გერბს.

ТД. БОЗАРДЖІАНЦЪ съ С-ми.

ფირმა არსებობს 1858 წლიდან.

ახალი კლუბი

საზამთრო შენობა

პარასკევს 22 ნოემბერს 1913 წ.

საზანდარი

ჩვეულებრივ

სინემატოგრაფიული სურათები

მუსიკალურ პიესებს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

„ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო აცხადებს:

კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ, რომ 1914 წლისთვის საწევრო ბილეთების განახლების ვადად დანიშნულია ამა წლის 20 დეკემბერი ვინც თავის დროზე საწევრო ბილეთებს არ განაახლებს კარგავს 1914 წლის 1 იანვარიდან კლუბში უფასოდ შესვლის უფლებას.

საწევრო ფულების გადახდა და ბილეთების განახლება შეიძლება ყოველ დღე კლუბის კონტორაში **დილის 11 საათიდან** ნაშუადღევის 2 **საათამდე და საღამოს 9 საათიდან ღამის 12 საათამდე.**

ქართული თეატრი

ტელეფონი № 795. წარმოდგენა №

ხუთშაბათს 21 ნოემბერს 1913 წ.

გენეფსი კოტე მესხისა

წარმოდგენილი იქნება პირველად:

დიდებული არგისტი

ხუთ-მოქმედებიანი პიესა ლეგუვეისი და სკრიბისა თარგ. დ. მესხის მიერ.

დიდებული არტისტის როლს შეასრულებს **ნინო ჩხეიძე**

რეჟისორის „მიშონეს“ როლს შეასრულებს **კ. მესხი.**

მონაწილეობს მთელი დასი.

რეჟისორი: **მ. ქორელი**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

ანონსი. მზადდება წარმოსადგენად: სინათლე, დამარცხებული რომი, ჰამლეტი და სხვა.

ადმ. ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა

ახალი კლუბი

საზამთრო შენობა

ორშაბათს, 18 ნოემბერს და ოთხშაბათს, 20 ნოემბერს

სინემატოგრაფის საუკეთესოთ

აჩვენებენ საინტერესო სურათებს. ✦ „ახალი კლუბის“ სიმფონიანი ორკესტრი დაუკრავს სხვადასხვა მუსიკალურ პიესებს.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

Адресъ телеграммъ SANITAS

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ

ფეხ-საცმლის ეკონომია!

✦ვურჩევთ ქუსლებისათვის საღებავს✦

Адресъ телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

რიპოლინი Д. М.

ამ საღებავით ორჯერ სამჯერ შეღებილი ქუსლები არ უშვებენ სინესტეს და ამაგრებენ ფეხსაცმელს.

მარმარილოს და მოზაიკის ქარხანა

ბ. პ. ვილლასი

მიხეილის პრ. № 63. საკუთარი სახლი, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ

მიიღება ყოველ-გვარი დაკვეთა მარმარილოს, ქვის და მოზაიკის საქმეებისა. მრავლად არის ასარჩევი დამზადებული ძეგლები, მატურები სხვადა-სხვა მასალიდან.

2—1

„თეატრის“ რედაქციამ

იკისრა იობა ისაკაძის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება

აკაკის პოემის „რაჭა-ლეჩხუმის“

✦ ✦ ✦

ღირსი იყოს. უსამართლო, დაუმსახურებელი საყვედურია ჩემის აზრით.

და აი რატომ.

პირველ ყოვლისა ადამიანი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლისათანავე საარსებო ბრძოლას იწყებს; სწავლობს და ცოდნით იჭურვება, რომ უკეთ გაუმკლავდეს ბუნების და სოციალურ პირობათა სიმკაცრეს. ამის გამო მშრომელი ადამიანის ცხოვრების უმეტესი დრო უნდება ლუკმა-პურისათვის მუშაობას. ამიტომ აშკარაა, რომ ადამიანი იქით მიილტვის, სადაც სამუშაო და ცხოვრების საღსარი ეგულება. ჩვენი ინტელიგენცია აღიზარდა ისეთ პირობებში, რომ მას თავის ცოდნის და მომზადების შესაფერ სამუშაოს აძლევდა ეკლესია, კანცელარია, სკოლა და საავადმყოფო. უდიდესი ნაწილი პრაქტიკული ცხოვრებისა-ვაჭრობა-მრეწველობა,მეურნეობა და ხელობა მისთვის უცხო ქვეყანა იყო.

ამიტომაც ჩვენი ნასწავლი ახალგაზრდობა ყოველთვის ქალაქისაკენ მიეშურება სამუშაოს საშოვნელათ. სოფელში კი მისთვის შესაფერი საქმე არ მოიპოვებოდა. მართლაც და რა თანამდებობა შეუძლია შეასრულოს ინტელიგენტმა სოფლად?

სოფლის მწერლობა ვერაფერი სახარბიელო საქმეა, ეს ყველამ იცის. და ამ საქმეს მხოლოდ ისინი ჰკიდებენ ხელს, ვინც მარტო რუსული წერის მეტი არა იცის რა.

სოფლის მასწავლებლობაც ამ ბოლო დრამდი ნივთიერად მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იყო და თუ ვისმეს შეეძლო ქალაქად ან დაბებში ეშოვნა ადგილი, სოფელს გვერდზედაც არ გაუვლიდა. ამრიგად სოფლის მასწავლებლებათ ხდებოდენ და ახლაც ხდებიან პატარა განათლების ცენზის მქონე და ღარიბ-ღატაკი ინტელიგენტები.

სოფლის ექიმობა უკეთეს პირობებშია, თუმცა ქალაქისას მაინც ძნელად შეედრება. ხოლო რადგან სოფლად საავადმყოფოთა რიცხვი ძრიელ მცირეა, ამიტომ ექიმთა რიცხვიც ნაკლებია. ისე კი მათ სოფლად საქმე არა აქვთ, რადგან ჩვენს გლეხობას, გაუნათლებლობისა გამო, წესიერი ექიმობა მოთხოვნილებათ არა აქვს გადაქცეული. აი ამითი ისაზღვრება ინტელიგენციის სარბიელი სოფელში. და ამ პირობებში რანაირათ შეიძლება ინტელიგენციის სოფლად გაჩერება? ზოგი ამბობს, რატომ მეურნეობას არ მისდევენ, რატომ თავის ოჯახს არ უბრუნდებიანო.

იმიტომ, რომ მათ სოფლის მუშაობა არ იციან. აგრონომიული ცოდნა არა აქვთ და ფიზიკურ შრომასაც გადაჩვეულნი არიან, ზოგიერთები კი, პირდაპირ უკადრისობენ ასეთ შრომას.

ამაში, საერთო ეკონომიურ პირობების გარდა აღზრდის სისტემაც არის დამნაშავე.

ეპვს გარეშეა, როდესაც სოფლად არ არის სარბიელი ინტელიგენტური მუშაობისათვის, არც შეიძლება იქ ინტელიგენციის გაჩერება. ის ყოველთვის სტუმარი იქნება თავისი საფლის, ისიც მხოლოთ ზაფხულზე, როდესაც კაკლის ქვეშ ჩრდილში მწვანე მდელოზე ნებიერათ მოისვენებს და ტკბილ ოცნებას მიეცემა ბუნების სიმშვენიერით გატაცებული და ამ დროს წყევლით მოიხსენიებს ქალაქის შეხუთულ ჰაერს და კანცელარიებში დუხჭირ მუშაობას. ცოტა დასვენების შემდეგ ის ისევ მიეშურება ქალაქისაკენ სამუშაოთ და ლუკმა-პურის საშოვნელათ. მისი სტუმრობა სოფლის ყოფა-ცხოვრებას კვალს ვერ ამჩნევს და ვერაფერსა სძენს.

როცა ყველაფერი ეს ვიცით, შეუძლებელია მოვსთხოვოთ ინტელიგენციას წავიდეს სოფლად, იშოვის თუ ვერა სამუშაოს, მაინც იქ იტრიალოს და იმუშაოს სოფლის საკეთილდღეოთ, ე. ი. შესწიროს მსხვერპლი, გასწიოს ქველმოქმედება თვითონ ღატაკმა და თავისი მარჯვენის შემყურემ. ეს მას არ შეუძლია. არავის აქვს უფლება ეს დანაშაულათ ჩაუთვალოს.

მაგრამ ამბობენ, ზოგიერთები ბულვარებში ტყუილა დახეტიალობენ, ქალაქთაც ამას აკეთებენ, განა არ ურჩევნიათ სოფლად წავიდენ და სოფელს მოეხმარონო! დიახაც სჯობია! „ტყუილად ყოფნას, ტყუილად მუშაობა სჯობიაო“, ნათქვამია. მაგრამ ამ ვაჟბატონებს საქმის და მუშაობის უნარი, ან სურვილი რომ ჰქონდეთ, ხომ არც ასე იხეტიალებენ, რაიმე სამუშაოს გაიჩენდენ.

ჩემის აზრით უმჯობესია, რომ ეს მოხეტიალე ყმაწვილები სულაც არ მიეკარებოდენ სოფელს, რადგან სიზარმაცისა და სიფუქსავატის მეტს მათგან ვერავინ ვერაფერს ისწავლიდა. ქალაქში კი ისინი გინდა ყოფილან, გინდა არა.

ინტელიგენციას შეუძლია საზოგადო კულტურულ მუშაობას შესწიროს მხოლოდ მუშაობისაგან თავისუფალი დრო და შეძლებისა და გვარათ კიდევაც აწარმოებს დიდ საეროვნო კულტურულ მუშაობას იქ, სადაც ის ბინადრობს.

მაგრამ სოფლად ამ საქმეს არავინ არ მისდევს, რადგან ინტელიგენცია მისგან

ჩაჩიკა

ლაღად, უდარდელად ცხოვრობდა ჩაჩიკა! ან რა ჰქონდა დამაღონებელი? ცოლი მას არ აწუხებდა და შვილი, მშობლები და ნათესავები. დაბადებიდან ამ უკანასკნელ ხანამდე იმისი ცხოვრება წყნარად, ერთფეროვნად მიმდინარეობდა. დღე-დღეს ჰგავდა, წელიწადი წელიწადს. ისეთი არაფერი შეხვედრია, რომ ერთფეროვანი ცხოვრება დაერღვია, აღეშფოთებია. თავისი საუკუნე მან ერთს ალაგას გაატარა და ეგონა, რომ იმის იქით, სადაც. ცა დედამიწას ეკვრის—არაფერი არ არისო. ყმაწვილობისას მხოლოდ რამდენჯერმე იყო ქალაქში, მაგრამ ეს სიზმარივით ახსოვდა და მას აქეთ, რაც ადგილობრივ მემამულეს ტყის მცველად დაუდგა—არსად ყოფილა. სოფელშიაც იშვიათად ნახავდით ჩაჩიკას და მთელ დროს ტყის დავლას ანდომებდა.

ის თავის ხვედრით სრულიად კმაყოფილი იყო. მომავალზე არას ფიქრობდა და ამიტომ მის სახეს ყოველთვის კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა. სულიერი ტკივილები მან არ იცოდა რა იყო და ლაღად, ბედნიერად გამოიცქირებოდა.

ასე ცხოვრობდა ჩაჩიკა მემამულესთან თითქმის ოცი წელიწადი. მაგრამ ეს ერთი ხანია ჩაჩიკა უეცრივ გამოიცვალა, თითქოს დაპატარავდა, მოიკუმშა. თუმცა დღეს ის ოცდა თხუთმეტი წლის თუ იქნება, მაგრამ თმა უკვე რამდენიმე დღეში აუვერცხლისფერდა და ფართო შუბლზე ოთხი გრძელი ღარი გადაეჭიმა. კმაყოფილების ღიმილი სამუდამოდ მოსცილდა იმის სახეს და რეტ-დასხმულივით გამოიცქირება. ერთი სიტყვით დღევანდელი ჩაჩიკა ოდნავადაც არა ჰგავს გუშინდელს. რომ ნახოთ იფიქრებთ: ამ კაცს ცოტა ხნის განმავლობაში ბევრი უსიამოვნო, აღმაშფოთებელი რამ განუცდია, სევდა-კაშანს დაუსადგურებია მის არსებაში და საცოდავად უწამებია. ამის მიზეზი კი სულ უბრალო შემთხვევა იყო...

* * *

თხუთმეტი წლისა იყო ჩაჩიკა როდესაც ტყის მცველად დადგა. მას შემდეგ დღემდის ტყეს დასტრიალებს და ისე შეეჩვია ტყეს, რომ ცოტა ხნითაც ვერ

დაშორებულია და სოფლის მკვიდრნი გაუნათლებელნი არიან. ამის გამო სოფელი კულტურულათ ჩამორჩენილია. მიუხედავათ ამისა მისვლა-მოსვლა და საერთო მოძრაობა, პრესა და ინტელიგენციის ქადაგება თავის საქმეს აკეთებს. სოფელში თან-და-თან შედის სინათლე, ვითარდება საზოგადო მოძრაობა და სოფლის გლეხობის დაკავშირება. ამ ბოლო დროს მაინც ამ მოძრაობამ პრაქტიკული ნაყოფი გამოიღო კოოპერატივების და საკრედიტო ამხანაგობების დაარსების და სკოლების გახსნის სახით. ამ გარემოებამ დაჰბადა ინტელიგენტური ძალების საჭიროება სოფლად. ინტელიგენტის მოღვაწეობის სარბიელი ნელ-ნელა გაიხსნა სოფლად. მეურნეობის განვითარება მოითხოვს მცოდნე ხელოსნებს და აგრონომებს. ამნაირად ინტელიგენცია სოფლის მუდმივი ბინადარი გახდება და თავისებურად გააჩაღებს საკულტურო მუშაობას, რომელიც სულ ცოტა ხანში სინათლეს მოჰფენს სოფლის სიბნელეს.

იმის მაგიერ, რომ ცალიერ სიტყვებს ვიძახით, რატომ სოფლად არ გადის ინტელიგენციაო, უმჯობესია შევქმნათ შესაფერი პირობები ინტელიგენციის სოფელში დასამკვიდრებლათ. უნდა ყოველი გზით და საშუალებით შევაგონოთ სოფლის მცხოვრებთ, რომელნიც რაიმე საზოგადო საქმის გაკეთებას აპირებენ, უსათუოდ მიიწვიონ სამსახურში შესაფერისად მომზადებული პირები და გასამრჯელოც დაუნიშნონ. მოერიდონ ყოველთვის მუქთად მომუშავეთ, რადგან შეიძლება ის უანგაროთ მოღვაწე ადამიანი თავის თავად ძალიან კარგი იყოს, ბევრი სიკეთეც სურდეს საქმისათვის, მაგრამ მას არ შეუძლია მთელი თავისი სამუშაო დრო ამ საქმეს მოანდომოს. ასე საქმე ვერასოდეს ვერ იხეირებს. საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ დავანებოთ თავი ეგრედ წოდებულ უანგარო და უსასყიდლო საზოგადო მუშაობის ქადაგებას, იმიტომ, რომ ყოველგვარი პრაქტიკული საქმე დროს და შრომას მოითხოვს და შრომა კი უსათუოდ ღირსეულად, სამართლიანად დაფასებული და ანაზღაურებული უნდა იყოს. უამისოდ ასეთ შრომას მოწყალების, ქველმოქმედების ხასიათი აქვს, მისი ნიადაგი მეტად მდარეა და ბევრ შემთხვევაში უვარგისიც.

უნდა ვვცადოთ სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, სკოლების გახსნისათვის, საკეთმყოფოთა დაარსებისათვის და საგრო-

ველთვის ხმა მაღლა მიეალერსებოდა მათ და მეგობრულად ხელს მოხვევდა. ეს იყო ჩაჩიკას უმთავრესი სიხარული. მაგრამ ერთი რამ კიდევ იზიდავდა მას—ნადირობა.

ორ-ლულიან თოფს ის განუშორებლად ატარებდა და საბრალო კურდღლებს მოსვენებას არ აძლევდა. იშვიათი დღე იყო ჩაჩიკას კურდღელი არ მოეკლა. საღამოობით ჩაუჯდებოდა ტყის პირად და ელოდებოდა ნადირს. გასაოცარი ნების პატრონი იყო ჩაჩიკა! მას შეეძლო მთელი საათობით გაუნძრევლად ეცადა ნადირისათვის ჭვიდრე საწადელს არ მიაღწევდა, არ დაიძროდა ადგილიდან. დაინახავდა თუ არა კურდღელს, სახე გაუბრწყინდებოდა და ისე სიამოვნებით აიღებდა თოფს დასამიზნებლად, რომ გეგონებოდათ, საყვარელ არსებას უპვრეტსო.

აუჩქარებლივ დაუშვებდა ჩახმახს, ნელა მივიდოდა, გადაატრიალებ-გადმოატრიალებდა გულ-განგმირულ კურდღელს, გადიკიდებდა ზურგზე და დაეშვებოდა ბინისაკენ.

ბინა ჩაჩიკას, პატარა მიწური სახლი, ვაზების ბოლოში ჰქონდა. ცუდ ამინდში ის ამ ქოხში აფარებდა თავს. დანარჩენ დროს გარედ ატარებდა. ბინაზე მისვლისას ჩაჩიკა ჯერ თოფს გასწმენდდა, გატენავდა, ჩამოჰკიდებდა და შემდეგ აიღებდა კურდღელს და ბატონის ბინისაკენ გასწევდა.

წყნარად შეეიდოდა სამზარეულოში, ჩამოჰკიდებდა კურდღელს და მოიკეცდა სკამზედ. სამზარეულოში შესვლისთანავე იქ შეგროვილი მოსამსახურენი ჩაჩიკას მოეხმარებოდენ ხოლმე.

—ჩაჩიკა მოვიდა, ჩაჩიკა,—დაიძახებდა რომელიმე და მას სხვებიც მიჰყვებოდენ.

—ჩაჩიკას გაუმარჯოს!

—ჩაჩიკ! მსუქანი კურდღელი მოიტანე დღეს?!

—ჩაჩიკ! რას შვრება შენი ტყის ქალი?

—ჩაჩიკ! რამდენი ქურდი დაიჭირე დღეს?

—ვისია, ჩაჩიკ, ეგ ცული? და სხვა. .

ჩაჩიკას ბევრი ლაპარაკი როდი უყვარდა. ის ისეთივე ჩუმი და გულ-ჩათხრობილი იყო, როგორც მისი საყვარელი ტყე. ხანდისხან ღიმილით უპასუხებდა მოსამსახურეებს, უფრო ხშირად კი ყუ-

ნომო დახმარების მოწესრიგებისათვის ყველა ამ დაწესებულებათა ცენტრალური მართველობანი ქალაქად იმყოფებიან და ინტელიგენციას შეუძლია რაიმე გავლენა მოახდინოს მათზე.

ამნაირად მოხდება საფუძვლიანი, რეალური გასვლა ხალხში ინტელიგენციისა არა ფილანტროპიული საქველმოქმედო მიზნით, არამედ ყოველდღიური და საკულტურო საქმეთა საკეთებლად. ასეთ გასვლას მტკიცე ნიადაგი ექნება და უკან დაბრუნება შეუძლებელიღა იქნება. ეს დიდებული მოძრაობა უკვე დაიწყო და ეხლავე ეტყობა, რომ ინტელიგენტური ძალები ცხოვრების ყველა დარგში სამუშაოდ ნაკლებათა გვყვანან. მაგ., გვაკლიან ინჟენერები, ტეხნიკოსები, აგრონომები, კომერსანტები, ბუხგალტერები, მასწავლებლები. მაგრამ ამათი რიცხვი ყოველდღე იზრდება და შორს არ არის ის დრო, როდესაც გამრჯელი და თაობნობით აღჭურვილი განათლებული ახალგაზრდობა მოეფინება დაბა-სოფლებს, სამრეწველო კუთხეებს. მაშინ სოფელი და ქალაქი მათი საშუალებით კულტურულად მტკიცედ დაკავშირდებიან.

ის. ვარაზაშვილი.

ჟინიანი მოკამათე.

ყოვლად შეუძლებელია სერიოზული კამათი, როდესაც მოპირდაპირე ყოველ ღონესა ხმარობს, რომ საკამათო საგანი, სიმართლე გამოურკვეველი დარჩეს, როდესაც ის კითხვაზე პასუხს არ იძლევა და ძველ თავის აზრებს იმეორებს.

არ. ჯ—შვილს „თემის“ ერთ-ერთ წინანდელ ნომერში განსაზღვრული, ადვილად გასაგები დებულება წინ დაუყენე.

მე ვსთქვი: „ილია ჭავჭავაძე თავის „ოთარაანთ ქვრივში“ ორ წოდებათა შუა „ჩატეხილ ხიდს“ ეხება, აშკარავებს მათ შორის საზოგადოებრივ უფსკრულს თვით ისეთ გრძნობაშიაც კი, როგორიც არის სიყვარული. ასეთი მოვლენა მწერლის აზრით, არ არის ნორმალური, „ჩატეხილი ხიდი“ უნდა გამთელდეს, „ორივე ნაპირი“ უნდა გაერთიანდეს. იდეა ნაწარმოებისა სავსებით აშკარავდება იმ ცნობილ სიტყვებში, რომლითაც არჩილი მიმართავს კესოს ამ „ორი ნაპირის“ გაერთიანების შესახებ. არ. ჯ-შვილი, იმისდა მაგივრად, რომ ამ ფარგლებში გაეცა ჩემთვის პასუხი, ძველ თავის აზრებს იმეორებს და მეუბნება: „ოთარაანთ ქვრივი“ მშვენიერი ილიუსტრაციაა იმ უფსკრულის, რომელიც გათხრილია წოდებათა შორის. ილიას, მართალია, საპიროდ მიაჩნია „ჩატეხილ ხიდის“ გამთელება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმასა, რასაც ბ-ნი წულუკიძე ბრძანებსო.

მაშ რას ნიშნავს? თურმე „ხიდის გამთელება, არა ძველის აღდგენაა“ არამედ **ორგანიული** (ხაზი არ. ჯ-შვილის არის) ცვლილებაა სოციალურ ურთიერთობისა“. აი სანამდი მიიყვანს კაცს ულოგიკობა!. „ჩატეხილი ხიდის“ გამთელება და ორგანიული ცვლილება სოციალურ ურთიერთობისა?!

განა შეიძლება ასეთი არევ-დარევა სხვა და სხვა მნიშვნელობის ცნებათა?

ორგანიული ცვლილება არის ახალ ძალების მიერ ძველის შემოქმედებითი უარყოფა, კრიტიკა გადაგვარებულ ელემენტებისა, სრულებით **ახალი** ფორმების შექმნა **ახალი** შინაარსისათვის.

„ჩატეხილის“ გამთელება ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დადასტურებაა, ასე ვსთქვათ „შეკეთებაა“ უკვე არსებულისა. ახალის შექმნა და ძველის გამთელება სხვა და სხვა ერთი მეორის უარმყოფელი ცნებაა.

ამ ძველის გამთელება აქვს სახეში ილიას თავის „ოთარაანთ-ქვრივში“.

ეს დღესავით ნათელია და მიკვირს როგორ შეიძლებოდა ამის წინააღმდეგ ლაპარაკი. მხოლოდ კამათის ჟინით გატაცებულ ადამიანს შეუძლია ასეთ დებულების უარყოფა.

მ. წულუკიძე.

ჩვენი ქვეყნის ავ-კარგი.

ქართული ენის სწავლების შემოღება სომხის სკოლაში.

ქართული ენის სწავლება სომხის სკოლაშიო?! — გაიკვირვებს მკითხველი. — არა, ეგ არ შეიძლება, არა მჯერა! როგორ დავიჯერო, ბატონო, ქართული ენა, რომელიც თვით ქართულ სკოლებიდან სისტემატიურად იდევნება, სხვა ერის სკოლაში შემოიღონ. არა, სწორედ ვერ დაგიჯერებთ მაგ ამბავსო—გვეტყვის მკითხველი.

ვისწრაფით მკითხველის ეპვი გავფანტოთ და დავარწმუნოთ, რომ თბილისის სომხის ერთ-ერთ სასწავლებელში ქართული ენის სწავლება გადაუწყვეტიათ, როგორც სავალდებულო საგნისა. ეს სასწავლებელი პირველდაწყებითი სკოლა არ

კაცის დამუნჯება იცის. როდესაც მობეზრდება დაამუნჯებს და მერმე თავს დაანებებს. ამას იმიტომ შვრება, რომ არ უნდა იმისი ამბავი სხვებმა გაიგონ, ეჭურჭულებოდნენ ერთმანეთს დედაკაცები.

ვინ მოსთვლის სოფელების ოცნება ამ მხრით სადამდის მიდიოდა და რა საარაკო ამბებს არ სთხზავდენ ჩაჩიკას და ტყის-ქალის დამოკიდებულების გამო.

უკანასკნელ ხანს ჩაჩიკას, თავვადასავლით განსაკუთრებით დაინტერესდა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალი ალმასა. ის დღემდის არ აქცევდა ყურადღებას ჩაჩიკას და არც მისი ამბავი იზიდავდა სხვებივით მას. მაგრამ ამ ბოლო დროს ძლიერ დაინტერესდა და ყველას ეშუდარებოდა ეამბათ მისთვის ჩაჩიკასი და ტყის ქალის ამბავი.

ამასთანავე სხვა სოფელელ გოგო-ბიჭებთან ერთად ჩაჩიკაზე თავდასხმაში მხურვალე მონაწილეობის მიღება დაიწყო და ისეთს ამბავს უთხრიდა ჩაჩიკას, რომ სოფელი სიცილით კვდებოდა.

გაიგებდა თუ არა ალმასა, რომ ჩაჩიკა სოფელს ესტუმრა—გამოვარდებოდა გარედ და დასტრიალებდა თავს.

—ჩაჩიკ! რას შვრება შენი კეკლუცი ტყის-ქალი? მომიკითხე, ჩემო ჩაჩიკ, და თან გადაეცი, რომ ალმასა მალე გამოგაცლის შენს სატრფოსთქო. გესმის ჩაჩიკ, ასე უთხარი, არ დაგავიწყდეს, თორემ მე პირადად ვნახავ მას და დაგაბეზღებ. ვეტყვი, რომ შენ აქ სხვებზე გრჩება თვალი და ის არც ისე გიყვარს. მაშინ ის გაგიჯავრდება, დაგამუნჯებს, გონებას წაგართმევს. მაშ, ასე გიზამს და ახიც არის შენზე, რად ცხოვრობ ტყის-ქალთან? ა?..

და ასე მუდამ, გამოედევნებოდა ალმასა ჩაჩიკას და რას არ ეუბნებოდა. ხან დასცინოდა, ხან აჯავრებდა და ხან კიდევ უცნაურად ეალერსებოდა.

ალმასა ხანდისხან ბინაზე მიუხტებოდა ჩაჩიკას. გაიშლიდა თავის წაბლის ფერთმას, ჩამოიფარებდა სახეზე ისე, რომ მხოლოდ ცხვირი უჩანდა, ჩაიცვამდა დედის გრძელ კაბას და მიადგებოდა ჩაჩიკას ბინაზე. აიტუზებოდა კარებთან და ალერსინად შესძახებდა:

—ჩაჩიკ, გენაცვალე, ხომ ავად არა ხარ? მაშ რად არ იყავ გუშინ ტყეში? მომწყინდა უშენოდ და გესტუმრე. ხომ

1913 წ. № 159

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგონოთ. იგი ერთი იმ სასწავლებელთაგანია თბილისში, რომელსაც სახაზინო სკოლებთან არავითარი კავშირი არა აქვს და რომელიც სომხის ერთ ერთ **ეროვნულ** სასწავლებლად ითვლება. ეს სკოლა სომხის სასულიერო სემინარია გახლავთ.

ამას წინად ჩვენს რედაქციაში შემოვიდა სომხის ერთი ფრიად განათლებული ინტელიგენტი, რომელმაც სხვათა შორის ზემოხსენებული ამბავი გადმოგვცა. თუ ჩაუკვირდებით ამ ამბავს, გასაკვირალს არასფერს აღმოაჩენთ. ქართული ენის სწავლება სომხის სასწავლებელში ნაყოფია არსებულ ვითარების ყოფა მდგომარეობის ღრმა დაკვირვებისა და შესწავლისა. ეს მოვლენა ისეთი საყურადღებოა და მასთანვე დიდმნიშვნელოვანი.

ჩვენი მოწინავე საზოგადოება სამართლიანად აღშფოთებულია ხოლმე იმ გარემოებით, რომ არამც თუ დასავლეთი ევროპა, რუსებიც კი არ გვიცნობენ ხეირიანად: ვინა ვართ, რა ხალხი ვართ, გვაბადია ისეთი რამ, რომელიც ჩვენს კულტურულობას ამტკიცებდეს თუ არა. მაგრამ როდესაც სხვას ვამტყუნებთ უმჯობესი არ არის ჩვენი თავი გავასამართლოთ. ჩვენს გარშემო, ჩვენსავე გვერდით სცხოვრობენ სხვადასხვა ტომის ხალხნი: სომხები, თათრები, ოსები და სხვანი, რომელთანაც ხშირი ურთიერთობა გვაქვს, იმათი ვითარება, ცხოვრება კი არ გვაქვს შესწავლილი და გათვალისწინებული. არ ვიცით მათი ისტორია ლიტერატურა, ერთი სიტყვით კულტურულად არა ვართ მათთან დაკავშირებული. არ ვიცით ხეირიანად, რასა სწერენ ისინი თავიანთ გაზეთებში, რა და რა მიმართულებას აქვს ადგილი მათ ცხოვრებაში. გაგვიგონია მხოლოდ, რომ სომხის ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები არსებობენ, ხოლო ამ მიმდინარეობათა პოლიტიკურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა სრულიად ბუნდოვანად გვაქვს წარმოდგენილი.

უმთავრესი მიზეზი კი ამ არა-სასიამოვნო მოვლენისა სწორედ ამ ხალხთა ენის უცოდინარობა არის. ჩვენ არა გაგვეგებარა სომხურისა და თათრულის. სომხებსა და თათრებსაც არა აქვთ ქართული შესწავლილი. ეს კი დიდი მავნებელია ყველა ამ ერთა შორის მტკიცე კავშირის დამკვიდრების საქმისთვის. ყველა ადგილობრივ ერის მოწინაკე ინტელიგენციის ვალია ამ მოვლენას ანგარიში გაუწიოს. ჩვენს ინტელიგენციას ამ უსა-

არ გამიჯავრდები ჩემო სიცოცხლევ? ა?.. და როდესაც გაოცებული ჩაჩიკა კარებს გაიღებდა, ალმასა მოხდენილად შემოტრიალდებოდა, ასტეხდა საშინელ ხარხარს და თან მიაძახებდა:

—უი, შენ კი მოშიკვდი, ჩემო ჩაჩიკ! მომბეზრდი უკვე, ეხლა აღარ მიყვარხარ, სხვა ვიპოვე შენზე ლამაზი... და კისკისით დაეშვებოდა სოფლისაკენ.

ჩაჩიკას მოსწონდა ალმასას ხუმრობა. ის ყოველთვის სიამოვნებით შესცქეროდა მას და ხშირად კმაყოფილი იღიმეზოდა. მას შემდეგ, რაც ალმასამ ასეთი ხუმრობა დაუწყო ჩაჩიკას, ის უფრო ხშირი სტუმარი გახდა სოფლის და თითქმის ყოველ კვირა-უქმე დღე სოფელში იყო.

ჩაჩიკა ალმასას ქალ-ბიჭას ეძახდა. და მართლაც რაღაც არა-ჩვეულებრივი ბუნების არსება იყო ალმასა. სიტურფე-მშვენიერებით ის შეუდარებელი იყო და მას ამ ნხრით ბადალი არ ჰყავდა მთელს კუთხეში. გარდა ამისა ის სხვა რამ ბევრით განირჩეოდა თავის ტოლ-ამხანაგებისაგან.

გაგიკვირდებოთ უყვარდა ალმასას ცხენების ჭენება, ჭიდაობა, ბურთის თამაში და სხვა. გავიდოდა მინდვრად, დაიჭერდა ვისიმე ცხენს, მოახტებოდა და ზღაპრულ ფერიასავით დაჰქროდა აქეთ-იქით. ჭიდაობაში მას ბადალი არა ჰყავდა. მას ვერც ერთი სოფლის ჯეელი ხელს ვერ ახლებდა. ვაი იმის ბრალი, ვისაც მოიგდებდა ხელში. ისე ღონივრად და გამეტებით მოიქნევდა, რომ კარგა ხანს ვერ მოიშუშებდა ნატკენს. ბურთაობაში ხომ პირველი იყო. მოავლებდა ბურთს ხელს და მთელი სოფელი რომ დაჰხვეოდა, ბურთს ხელიდან ვეღარ გამოაცლიდა.

ყველა ამაებთან ერთად ალმასა გასაოცრად ნაზი იყო. სინაზეს იჩენდა ის განსაკუთრებით კვირა-უქმე დღეებში, როდესაც ეკლესიაში გაემგზავრებოდა. კოხტად მოიკაზმებოდა, მოხდენილად წაიკრავდა თმას თავ-საკრავით და ნელი რხევით დაადგებოდა გზას. ეკლესიაში ის ყველაზე წინ დადგებოდა და ინნაირ სახის გამომეტყველებას მიიღებდა, გეგონებოდათ, სულით და გულით ლოცულობსო. რა შეედრებოდა ამ დროს ალმასას თავის სილამაზე სიმშვენიერით! საბრალო მღვდელს არა ერთხელ გაუტეხია უნებლიეთ თვალები და მთელი

ჭიროეს თანამედროვე მოთხოვნილებისათვის ჯეროვანი ალღო უნდა აერთვა. ამ მხრივ პირველობა სომხის მოწინავე საზოგადოებას ხვდა წილად. ამიერიდან სომხის ინტელიგენციის ფართე წრეს, სხვის დაუხმარებლივ, შეეძლება მიეცემა პირდაპირ გაეცნოს ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ავსა და კარგს. თუ აქამდინ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მათ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ამიერიდან სულ სხვა იქნება. ქართული ენის შემოღებით თავის ნაციონალურ სკოლაში სომხებმა პირველი საფუძველი ჩაუყარეს, თავის მხრით, ჩვენთან დაკავშირებას და მჭიდრო ურთიერთობას. ამიერიდან თავის თვალითვე დარწმუნდებიან ამა თუ იმ ჩვენი მწერლის გულწრფელობასა და ღირსებაში, რომლის ნაწერებსაც ქართულ ენაზე წაიკითხავენ და გაეცნობიან.

დროა ქართველმა მოწინავე საზოგადოებამაც ამ მომწიფებულ კითხვის შესაფერი პასუხიც გასცეს და თავის თანამოძმე ერის ინტელიგენციის მაგალითს მიჰბაძოს. მარტო იმის ძახილი, რომ ჩვენ სომხის ერთან მტკიცე კავშირი უნდა დავიჭიროთ ჭირშიაც და ლხინშიაცო, საკმარისი არ არის. დროა სიტყვა საქმედ ვაქციოთ. ჩვენის მხრითაც სომხური ენის სწავლება შემოვიღოთ როგორც სავალდებულო საგანი ჩვენს ეროვნულ სასწავლებლებში, როჭელთაც ქართული გიმნაზიები ჰქვია და რომელნიც მომავალ საზოგადო მოღვაწეებს გვიზდიან. ენის შესწავლა და გაგება კი იმავე დროს მთელი ერის სულის სწრაფვის გაგებაა.

ასე ჩაეყრება საფუძველი ამ ორ ერთა შორის ძმურ ურთიერთობასა და სოლიდარობას.

არ. სოჩბელი.

— —

ამაზე ამ რამდენიმე წლის წინად იყო აღძრული ლაპარაკი. სხვათა შორის „ივერიაშიაც“ დაიბეჭდა ასეთი მოწოდება გრ. დიასამიძისა, მაგრამ, საუბედუროდ, როგორც ყოველთვის ამ მნიშვნელოვან საგანს არ მიაქციეს ყურადღება სწორეთ იმათ, ვისიც ხელშია ჩვენი ახალთაობის აღზრდა და განვითარება. იქნებ ახლა სხვა ბედი ეწიოს ამ საკითხს.

რედ.

ორი ფანჯარა.

— —

თოვლის თეთრი პეპელა ციდან მიწაზე რომ ფრინდებოდა, ორ ფანჯარაში შეიხედა.

პირველ ფანჯარაში სინათლეა; ოთახი

ახლად გარდაცვალებული სომხის მოღვაწენი



ს. ზავარიანი.



ალ. ქალანთარი.
(„მშაკის“ რედაქტორი)

კ. ხატისოვი.

ჩვენ განყოფილების წევრთა რაოდენობას არ ვეხებით. ამიტომაც, 1912 წ. შემოტანილი საწევრო ფულები მთავ. გამგ. 939 მან. ვიანგარიშეთ 1406 წევრზე და არა 877+1406. თქვენ ამბობთ, ვითომც ჩემი მოყვანილი ციფრები არ ეთანხმება ანგარიშში მოყვანილ ციფრებს. აბა, კარგა დააკვირდით ამ ცხრილს და თქვენ თითონ დარწმუნდებით, რომ ჩვენი ციფრები ისეთივეა, რაც თქვენი. თქვენ კი გააკეთეთ ამ თქვენ წერილში არა თუ უნებლიეთი, არამედ დაუდევრობით გამოწვეული შეცდომა, აი მაგალითი.

თქვენ ამბობთ: „1911 წ. წევრთა რიცხვი განყოფილებებით გახდა 1292. იხ. ანგ. გვ. 94“. თქვენს პირს შაქარი! გადავშალოთ 94 გვ. იქ არის თეთრ ქაღალდზე შავათ აღბეჭდილი, რომ განყოფილებებს ჰყოლია 1239 წევრი. თუ განყოფილებებს 1239 წევრი ჰყავდა, რამდენი ღა უნდა ჰყოლოდა მთავ. გამგეობას? თქვენის თქმით 1911 წ. განყოფ. წევრთა რიცხვი 1292 გახდაო, ამ ციფრებს რომ ვერწმუნოთ, მაშინ მივიღებთ—1292—1239=53. ეს ხომ შეცდომაა და თანაც გაუგებრობა! როგორ უნდა დავიჯეროთ, რომ მთავარ გამგეობას 53 წევრი ჰყავდა?,.

ბ) 1908 წ. წევრთა რიცხვს თქვენ კორექტურულ შეცდომას უწოდებთ და თანაც ამბობთ, რომ 1909 წ. ანგარიშია გასწორებულიო, ეს შეცდომა არაა კორექტურული და ვერც 1909 წ. ვნახეთ ამის გასწორება. არა, თუნდ რომ კორექტურული შეცდომა იყოს, არავის გაუგია ანგარიშების შეცდომების ერთი წლის შემდეგ გასწორება! ან სად თქმულა და გაგონილა ასეთი უნებლიეთი შეცდომები?!

გ) ბორჯომის განყოფილების შესახებ თქვენ ამბობთ: 140 გვერდზე ნათლადა სჩანსო. ეს მხილება სხვაა! ეხლა კი გვესმის, რომ 140 გვერდზე მოყვანილი ციფრი სწორეა თქვენის დამოწმებით და არა ანგარიშით, 56 გვერდის ციფრი კი „უნებლიეთი“ შეცდომაა. აქაც, ჩემის აზრით, დაუდევრობაა, რადგან წესი ასეთია, არც ერთ ანგარიშში არც ერთი ციფრი არ უნდა იყოს ერთი მეორის მოწინააღმდეგე და ეს მით უმეტეს ისეთ დაწესებულებაში, როგორიცაა წერა-კითხვის საზოგადოება.

არა, მაინც როდემდის გაგრძელდება ეს „უნებლიეთი“ და დაუდევრობით გამოწვეულ შეცდომების გასწორება?

გი.

— —

როგორც ეს პასუხი, ისე წინანდელი წერილი ხელ-მოწერილია, მაშასადამე, ვისაც საჟურნალ-გაზეთო ადათი აქვს გაცნობილი და ჟურნალ-გაზეთების ხშირ კითხვას არის შეჩვეული, ის ხელ-მოწერილ წერილში მოთავსებულ ფაქტიურ მასალის გამო რედაქციას ვერ მოსთხოვს პასუხს. მაგრამ, როგორც ჩანს წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ-გამგეობის მდივანი, სულ სხვა, განსაკუთრებულის აზრისა ყოფილა ამ საგანზე. ის არა თუ ვითომდა შეცდომებს გვისწორებს, შეუფერებელის კილოთი დარიგებასაც კი გვაძლევს. ძველ მოხელეს, რუსის ბიუროკრატიულ დაწესებულებაში ნამსახურს ჟურნალ-გაზეთის რედაქცია რომელიმე

1911 წ. წევრთა რიცხვი განყ. გახდა 1292. საწევრო შემოვიდა: განყ. 3715 მან. მთ. გამგ. 1162 მან.
1912 წ. „ „ არ მოგყავთ „ „ „ 6511 „ „ 939 მან.
მე მოვიყვანე:
1911 წ. „ „ 1298 . . . . . „ 1162 მან.
1912 წ. „ წლის გასულს 877+1406. განყოფილება და მთ. გამგეობა „ 939 მან.

თავისი სასოება ალმასასაკენ მიუმართავს.

ალმასას სახის გამომეტყველება, მიხვრა-მოხვრა წამდა-უწუმ იცვლებოდა. ის მუდამ ისეთი იყო, როგორიც თვითონ უნდოდა. ამ წამში ის სინაზის და მშვენიერების განსახიერება რომ იყო, მეორე წამში გააფთრებულ დედალ ვეფხვს მიაგავდა. ხან ისე ამაყად გამოიცქირებოდა, როგორც ძლიერ მტერზე გამარჯვებული გმირი, ხან კი ხორცშესხმულ სატანას წარმოადგენდა.

დაცინვა საშინელი იცოდა ალმასამ; ვაი იმის ბრალი, ვინც მას ხელში ჩაუვარდებოდა და რაიმე ნაკლს უპოვიდა. მორჩენილი იყო მისი საქმე. როგორც ბუზანკალი ისე დასტრიალებდა თავს ამოჩემებულ მსხვერპლს და გესლიანად ჰკბენდა გაალმასებული ენით და მოციალე თვალების ტრიალით.

ჩაჩიკას რომ დაინახავდა, მაშინ მისი სახე მეტად რთულ გამომეტყველებას მიიღებდა. ხან ის ძლიერ გაბოროტებული გამოიცქირებოდა, თითქოს სწადდა რიღაცისათვის შური ეძია და საბრალო ჩაჩიკა თავისი ხელებით დაეღრჩო, მაგრამ ამავე დროს შეამჩნევდით, რაღაც ნაზს სიბრალულს მისდამი და გეჩვენებოდათ, აი ეს არის ალმასა მივარდება ჩაჩიკასთან და მხურვალედ გულზედ მიიკრავსო. სიბრალული-სიძულვილი ისე წამდაუწუმ სცვლიდნენ ერთმანეთს მის სახეზე, როგორც ჩანჩქერის ფიფქებზე მიმდგარი ბრეკვიალა მზის სხივების წარმტაცი ციალი.

ამ წამს გაბოროტებული რომ დასცინოდა ალმასა ჩაჩიკას, იმავე წუთში, ვით ტყის-ქალი, მომხიბლველად ეალერსებოდა შორიდან.

ჩაჩიკასაც ეგ ასიამოვნებდა...

—ერთი ჩემს ალ-ქაჯს ვეჩვენები დღეს, —იტყოდა ჩაჩიკა თავისთვის და სოფლის დუქნისაკენ გასწევდა

***

მწუხრის სიო საამურად ჰქროდა და ტყის ფოთლებს ზღაპრული შრიალი ჰქონდათ გაბმული. ჩამავალ მზის მოწითანო სხივები ხის წვეროებს ფერადებით ჰკაზმავდა და მთელი ტყე, ერთს ვეება, ძვირფას თვლებით მორთულ სამეფო გვირგვინს მიაგავდა.

ჩაჩიკა ტყის პირად იდგა, თავისი თოფით და ბუჩქნარს გასცქეროდა. მთელი მისი ყურადღება ლოდინს ჩაენთქა. ყუ-

ლამაზი ყვავილებითაა მორთული... შიგ ყველას პირი ულიმის; ხუმრობენ, თამაშობენ, მღერიან.

კუთხეში წყვილი მიმჯდარა; თვალები ულიმისთ; ჩურჩულობენ. .

—ნეტა ეს წუთი საუკუნეთ აქცია.— გაიგონა პაწია თოვლმა.

—რა კარგი ყოფილა ცხოვრება!— გაიფიქრა გახალისებულმა ფიფქმა, რომელმაც მიწა პირველათ ნახა.

ჩამოცურდა და მეორე ფანჯარაში შეიხედა.

პაწია სანათური ბეუტავს; ოთახი ანგრეულია. ფანჯარასთან მაგიდას ფერმკრთალი ახალგაზდა უზის, წერილს დასცქერის ცრემლიანი თვალებით.

მხიარული თოვლი დამწუხრდა, დაფიქრდა და ნელ-ნელა დაეშვა მიწაზე...

ალ. ცირეკიძე.

ბ. გრიგოლ ბურჭულაძეს

წერაკითხვის საზოგადოების 1912 წ. ანგარიშის შესახებ (იხ. მისი „წერილი“ სახალხო კაზეთა“ № 1043 და ჩვენი — „თემი“ № 149.)

თქვენ ამბობთ: „თუ შეცდომას ვინმე დაგვისახელებს, სიამოვნებით (?) მივიღებთ შენიშვნას და მისი გასწორებას ვეცდებითო.“ მაშ თუ ასე იყო რად გეწყინათ ასე ჩემი შენიშვნები ანგარიშში შენიშნულ შეცდომების შესახებ? ან რა საჭირო იყო ის კილო, რომელიც გამოსჭვივის თქვენს წერილში?

ანგარიშში ჩვენ მთელი რიგი შეცდომებისა აღვნიშნეთ, თქვენ კი მარტო სამს შეეხეთ და აქაც შეცდომები მოგივიდათ.

ა) იმის დასამტკიცებლად, რომ ანგარიშში ოქმები შემოკლებითაა მოყვანილი, ჩვენ ავიღეთ მხოლოდ ერთი მაგალითი, ეს სტატისტიკური ცნობები წევრთა რიცხვის დაკლების შესახებ. თან ვსთქვით თუ რატომ არ არის მოყვანილი ხარტიშვილის და დედაბრიშვილის სტატისტიკური ცნობები. არსებითად ჩვენ ამ საკითხს არ შევხებივართ. ჩვენ გვაინტერესებდა ამ საკითხის მასალა და ისიც მხოლოდ სტატისტიკის მხრივ და ეს კი თქვენს ოქმებში ვერ აღმოვაჩინეთ.

თქვენ ამბობთ:

რი მახვილად ეჭირა და მცირეოდენი ხმაურობაც კი მის სმენას არ ეპარებოდა.

აბა, გამოდით ჩემო კურდღლებო, გამოდით. ერთი დავაჭექო ჩემი თოფი, თორემ დუმილმა დამაყრუა, ჩაილაპარაკა ჩაჩიკამ და თოფს ხელი მაგრად მოუჭირა.

—ჰოი, არ მომკლა ჩაჩიკა, მე ხომ შენი ტყის ქალი ვარ. არ მესროლო თოფი... მოულოდნელად მოესმა ჩაჩიკას და იმავე წამს ტყის ბილიკით ქურციკივით გამოხტა ალმასა.

ჩაჩიკა შეკრთა, გაოცებული მიაჩერდა ალმასას.

—ხა, ხა, ხა, გადიკისკისა ალმასამ. რა ვაჟკაცი ბრძანებულხართ? ჩემი როგორ შეგეშინდა? შეხედე რა ფერი გაძევს... ხა, ხა, ხა-კისკისებდა ალმასა.

—შე ალ-ქაჯო, შენა. რა გინდა ამ დროს აქ?

არ გეშინია? შეეკითხა ჩაჩიკა, როდესაც დარწმუნდა, რომ ეს მოჩვენება კი არ იყო, არამედ მისი მასიამოვნებელი მტანჯველი ალმასა.

—მე ჩაჩიკა არა ვარ, რომ მეშინოდეს... ჩაჩიკა, თუ ღმერთი გწამს ერთი შენი ტყის ქალი ინახულე და ჰკითხე: ჩვენი ძროხა ხომ არსად უნახავს? აგერ მეორე დღეა შინ არ მოსულა, ის ვეარა. მთელი დღე დავეძებ ამ ტყეში, მაგრამ ვერსად წავაწყდი.

—მარტო დაეძებ, მერე?..

—როგორც ხედავ... მაშ შენს ტყის ქალს ნახავ ხომ? მას უსათუოდ ეცოდინება, სად არის ჩვენი ძროხა. რა კარგია! იმან ყველაფერი იცის. არც არაფრის ეშინია. დადის თავისუფლად თავისი გრძელი, გაშლილი თმით და თეთრი კაბით. ნეტავ მე ვიყო ტყის-ქალი. ლამაზია არა, ჩაჩიკ! თვალები ასეთი აქვს აი, დიდრონი და თან შავი, შავი, როგორც ტყის შუა გულში ღამე... ჩემზე ლამაზია ხომ? ა? აბა შემომხედე, ჩაჩიკ! მჯობნის განა კეკლუცობით? შენ ხომ გეკითხა მისი? გეშინია იმიტომ, რომ ის ღალატს არ გაპატიებს და თუ რამე გაგიგო ძაშინ თავისავე ლამაზი, პატარა თითებით აი ასე გეცემა ყელში გააფთრებული წაგიქერს ხელს და დაგაბრჩობს და ალმასამ მძლავრად ჩაავლო ჩაჩიკას ყელში თითები...

—ოი, დავიღრჩე, შე ქაჯო, გამიშვი.

—ხა, ხა, ხა, საბრალო ტყის-ქალი

შენს ხელში. ნუ თუ ტყის ქალებს ასეთი უყვართ?

—რას გიჟობ ალმასა! ვის გაუგონია ტყის-ქალი? სად არის?

—სად არის და აი იქ, ტყეში... მართლა ნეტავ სად არის? ა? ჩაჩიკა შენი ჭირიმე მე მიჩვენე მისი ბინა. როგორ მინდა ვნახო.

—ტყუილია ის არსად არის. ყველაფერი ეს დედაკაცების მოგონილია.

—ტყუილი თუ არის მაშ ქალს რად არ ირთავ? ა?

ჩაჩიკამ ვერაფერი უპასუხა ამ კითხვაზე და მხოლოდ მოღიმარე თვალებით ალერსიანად გადახედა მას. ამ დროს ტყიდან გამოხტა კურდღელი და შორიახლო ლამაზად დასკუპდა, თითქოს ფიქრობდა ეხლა საით უნდა წავიდეო. ჩაჩიკამ თოფი დაუმიზნა, მაგრამ ალმასა გადაუდგა და კურდღელიც დაიფრთხო.

—ჩაჩიკ, ხა, ხა, ხა, გაგექცა კურდღელი; ესროლე ჩქარა, ესროლე, ხა, ხა, ხა...

—რა გიჟი რამა ხარ! წადი შინ ალმასა, თორემ მალე დაღამდება კიდეც.

—ნუ სწუხარ, მე აღარ მეშინია... ჩაჩიკა, ერთი ეს მითხარი; ეხლა უნდა მოგეკლა კურდღელი? მერე რატომ არ გებრალება? ჩაჩიკ, მე რომ კურდღელი ვყოფილიყავ მეც მესროდი თოფს, მომკლავდი? ა?

—შენ თოფს არ გესროდი. მხოლოდ დაგიჭერდი და ჩემს გალიაში დაგამწყვდევდი.

—შენ როგორ დამიჭერდი? აბა სცადე. მე ვითომ კურდღელი ვარ და შენ კიდევ მონადირე. აბა თუ დამიჭერ? და ალმასა სწრაფად მიიმალა ბუჩქნარში. ჩაჩიკაც უნებლიედ გაჰყვა. ალმასა ხან აქ გაძოჩნდებოდა ხან იქ, ჯერ ნელა გარბოდა, და როდესაც დაინახა რომ ჩაჩიკა მართლა მისდევდა, სწრაფად მოსწყდა და გასაოცარი სისწრაფით გაექანა.

ჩაჩიკაც გამოუდგა.

—ჩაჩიკ მესროლე თოფი, თორემ გაგექცევა კურდღელი, მესროლე...—იძახდა ალმასა და ხან ერთს ბუჩქს ამოეფარებოდა, ხან მეორეს. ისიც თავმოძულებული მისდევდა და იმ დროს, როდესაც მიუახლოვდებოდა ალმასას დასაჭერად, ეს უკანასკნელი მარდად დაუსხლტებოდა ხელიდან- და ჩაჩიკას შორს დასტოვებდა.

—ჩაჩიკ, მესროლე თოფი, მალე მესროლე, თორემ გაგექცევა კურდღელი... მესროლე, მესროლე, დუუუ, დაიძახა ალმასამ და ერთს ბუჩქის ახლოს გაიშლართა მდელოზე.

ჩაჩიკაც მალე მიაწყდა იქ და განცვიფრებული დააცქერდა ძვირფასს ნადირს...

თვალებ მილულული ალმასა წყნარად ითქვამდა სულს და აკოკრებული გულ-მკერდი მიმზიდველად ირხეოდა.

—ხომ დაგიჭირე, ჩემო კურდღელო! ეხლა წაგიყვან და ჩემს გალიაში დაგამწყვდევ...—ალერსით უთხრა ჩაჩიკამ და წყნარად აიყვანა ალმასა.

ალმასა სულ-ერთიანად მოეშვა, ხელები თავის ზემოდ რგოლივით გააკეთა და უკან გადასწია; თავი გადაზნიქა და გულ-მკერდი წარმტაცად მოუღერა. ჩაჩიკა ხარბად ჩასცქეროდა მის სახეს და ნელა გამოღიოდა ბუჩქნარიდან. ალმასას გულ-მკერდი ოდნავ ეხებოდა მის მკერდს და თავ-ბრუს ასხამდა ვაჟკაცს ჩაჩიკა მივიდა იმ ალაგს, სადაც თოფი დასტოვა, მაგრამ ალმასას განთავისუფლებას ვერ ახერხებდა.

—ხომ დაგიჭირე, ჩემო კურდღელო! კიდევ ჩასჩურჩულა მან და უნებლიედ ღონივრად მიიკრა ალმასა მკერდზე...

—ჰოი, რას შვრები, ჩაჩიკ? ხა, ხა, ხა, წამოიძახა ალმასამ და მარდად გაუსხლტა ხელიდან შემკრთალ ჩაჩიკას.

—ტყის-ქალი შეგიტყობს, ჩაჩიკ, ამ ხუმრობას და გაგიჯავრდება. გცემს, დაგახრჩობს. მეც მომიხტება და შავ დღეს დამაყენებს.

—ნუ გეშინია, ჩემო ალ-ქაჯო, ნუ...

—ჩაჩიკ, დაიცა... მოგწონვარ? ა? მაშ შემირთე... ხა, ხა, ხა.—გადიკისკისა ალმასამ და ელვის სისწრაფით დაეშვა სოფლისაკენ.

—ჩაჩიკ, მესროლე თოფი, თორემ გაგექცა კურდღელი, გაგექცა... ისმოდა ალმასას ზარივით წკრიალა ხმა, რომელიც თანდათან სუსტდებოდა ..

სამი ოთხი დღის მთვარე ღამაზ რკალივით ამოსრიალდა ცის ტატნობზე და მკრთალი შუქი, ვერცხლის სამოსელივით, მომხიბლველ ღიმილით გადააფარა დამაშვრალ სოფელს.

***

მთელი ღამე არ სძინებია ჩაჩიკას...— ალმასა, ალმასა, იძახდა ის და ალმასას

ბირშიაც კი გადაასახლებს ხოლმე. ასე მონათლეს მაგალითათ ლოპუხინი რევოლიუციონერათ და ციმბირში უკრეს თავი.

ამგვარივე ტერორია გამეფებული „მერცხლის“ თანამოაზრეთა წრეში.

რა მიზანი აქვს ასეთ საშუალებას?

პირველი—წევრთა დაშინება.

მეორე-შეგნებულ მიმდევართა დაბრმავება.

საკმაოდ გამბედავი უნდა იყოს ადამიანი, რომ უშვერ ლანძღვა გინებას, რენეგატის, მოღალატის სახელწოდებას არ შეუშინდეს. აკი კიდევაც ეშინია ბევრს და არის გაჩუმებული. მე ვიცი ზოგიერთი,—ეროვნულ საკითხში სრულებით სხვა გზას ადგია, ეს საკითხი ისე არ ესმის, როგორც უმრავლესობას, მაგრამ გაჩუმებულია.

წარმოიდგინეთ შეგნებული მუშა, რომელიც წაიკითხავს „მერცხალში“ ჩემ წინაღმდეგ მომართულ წერილს, ის მაშინათვე ასე იფიქრებს: გომართელი ჩვენი მოღალატე ყოფილა და ეროვნული საკითხის შესახებაც მიტომ არ ეთანხმება ჩვენებსო. ის მაშინათვე შემომაქცევს ზურგს და უარჰყოფს ჩემ მიერ განმარტებას ეროვნულ საკითხისას. ამის შემდეგ, რამდენიც უნდა ვუჩიჩინო, ის ერთსა და იგივეს გაიმეორებს: თავი დამანებე, შენი აღარა მჯერარა, მოღალატე, რენეგატი ხარო.

როგორც ჰხედავთ, იქ, საცა საბუთი აღარ არის, საცა აზრის სიკოტრეა, სიტყვა მოღალატე, რენეგატი მეტათ მძლავრი საშუალებაა. შეუგნებელ ადამიანს ის კეტივითა ჰხვდება თავში და თვალებს კიდევ უფრო უბნელებს, აზროვნებას უხშობს.

აი ეს მიზანი აქვს ახლაც „მერცხალს“. მთავარ საკითხს ჩვენი უთანხმებისას, ჩემი „დაწუნებისა“, როგორც ისა სწერს, ის გვერდს უხვევს და თავის მასსას ეუბნება: გომართელი მოღალატეა, მაგისი არა იწამოთ რაო.

„ვცან სიმოკლე ბოროტისა“, უთქვამს რუსთველს. „მერცხლის“ თანამოაზრეთა მასსა დღეს აღარ წარმოადგენს იმ ცომს, რომელსაც „მერცხლის“ ზოგიერთი მწერალი ისე ზელავდა, როგორც მას ჰსურდა. ადრე თუ გვიან ეს მასსაც შეიგნებს, თუ სად არის სიმართლე, რომელსაც ასე მედგრათ ჰქოლავს „მერცხალი“.

რაში გამოიხატა ჩემი მოღალატეობა?

აი რაში.

პირველი იმაში, რომ ამ ხუთიოდე წლის წინეთ გავბედე და ვსთქვი ქუთაითურ გაზეთში: მოძრაობამ ჩვენი მოლოდინი არ გაამართლა მიწების შესახებ და ვიღონოთ რაიმე ღონე, რომ გლეხ-

---

წკრიალა ხმა, მშვენიერი სახე, აკოკრილი გულ-მკერდი ძალს უფრთხობდა მას. ათასჯერ მოიგონა თუ როგორ შეხვდა ღღეს ალმასა, როგორ იღიმებოდა ის ლაპარაკის დროს, რა წარმტაცად ჰკრთოდნენ უჩვეულო ცეცხლით იმისი მოციალე თვალები. ალმასას ტკბილი ხმა მათრობელ ნექტარივით ეწვეთებოდა მას ყურში და უხილავ, უსაზღვრო ქვეყნებს უყენებდა თვალწინ.

—თუ მოგწონვარ, შემირთეო—უთხრა ალმასამ და ჩაჩიკასაც განსაკუთრებით ეს სიტყვები აგონდებოდა, ალმასა წინადადებას აძლევს, შემირთეო, ეს, რაღაც დაუჯერებელი იყო ჩაჩიკასათვის.—ნუ თუ? ნუ თუ? ათასჯერ ეკითხებოდა ის თავის თავს და ცდილობდა დაეჯერებინა თავისივე თავი, რომ ეს ყველაფერი მართალია და შესაძლებელიც. ქალის ალერსს უჩვეულო ჩაჩიკა ალმასას ამგვარმა საქციელმა ერთი დაკვრით გამოაფხიზლა და ახალი, ჯერ განუცდელი ტკბილი სიზმრები მოუვლინა.

—სად ვიყავ დღემდის, სად?—იძახდა ჩაჩიკა და მოუსვენრად ტრიალებდა ლოგინზე. რა დამთრობელი, უმაღლეს ბედნიერ წუთების მომგვრელი ყოფილა ქალის ალერსი! სამოთხე, ჩემო სამოთხეე, რა ახლოს იყავ დღეს ჩემთან, ხელში მყავდი, შენი სულის-თქმა მესმოდა, შენს სითბოს ვგრძნობდი... და კვლავ ავლებდა თვალს ალმასას მფეთქავ მკერდს და მიკრთობილ თვალებს...

არა, ალმასას არავის დავანებებ, არა, ხვალვე მივალ და ნიშნობასაც გავაჩაღებ. დღეიდან ჩემი უკან დაბრუნება აღარ შეიძლება. მე ის ჩაჩიკა უკვე აღარა ვარ. დღემდის მართლაც ტყეში ვიყავ, ნადირს ვგავდი, მაგრამ ეხლა კი მორჩა. ვგრძნობ, რომ მეც ადამიანი ვყოფილვარ. წამით განვიცადე უდიდესი სიამოვნება და მას არ გავცვლი არავითარ სიმდიდრეში. ალმასას არავის დავანებებ, არა... ჩემო ალმასა, სამოთხეე, იძახდა ჩაჩიკა და მას შორიდან წყნარად ეალერსებოდა...

იმ დროს, როდესაც ჩაჩიკა თავის საწოლზე ალმასას აჩრდილს ასე თავდავიწყებით ეალერსებოდა და თავის-თავს სიტყვას აძლევდა, რომ მას არავის დაანებებდა—სამი ცხენოსანი ფრთხილად მიუახლოვდა სოფელს. ერთს მთგანს

შეკაზმული ცხენი მიჰყავდა მარქაფად. სოფლის განაპირას მდგარ მუხის ქვეშ ისინი შეჩერდენ, გადმოხტენ ცხენებიდან, ერთი იქვე დარჩა და ორი მარდად გაეშურა ალმასას ბინისაკენ. ერთმა წყნარად კარები დააკაკუნა.

—გოლა ხარ? მოისმა სახლიდან ხმა.

—ჩქარა ნუღარ აყოვნებთ, სადაცაა გათენდება—უპასუხა მოსულმა-

კარები გაიღო.

—ყველაფერი მზადაა. ასე რად დაიგვიანეთ? შეეკითხა ალმასას დედა გოლას და თან ბოხჩა გადასცა.

—შორი გზაა, ცხრა მთა გადმოვიარეთ—იხუმრა გოლამ. ალმასა სადღაა?..

აქა ვარ გოლა!—უპასუხა ალმასამ. აბა, დედი, მშვიდობით, არ დამივიწყო, გენაცვალე, მე ხშირად განახავ—უთხრა ალმასამ დედას და გადაეხვია...

როდესაც ალმასა ცხენზე შეხტა და გამოცდილ მხედარივით ცხენს მოხდენილად მოუქნია, ალმასას დედამ ყვირილ-კივილი მორთო.

—ალმასა მომტაცეს, მიშველეთ ხალხნო... და მწარედ წაიშინა თავში.

სოფელს გამოეღვიძა...
ასტყდა ხმაურობა, ძახილი, თოფების სროლა.

ჩაჩიკასაც მოესმა ეგ ხმაურობა, წამოხტა, დაავლო თოფს ხელი და რეტ-დასხმულივით გარედ გამოვარდა. ორ-ღობეში ის ოთხ ცხენოსანს შეეფეთა.

—არაფერი გაბედო, თორემ ეხლავე დაგახლი ტყვიას, შესძახა ერთმა მხედარმა და ცხენი ზედ მიაგდო.

—ჩაჩიკ, შენა?! ხა, ხა, ხა-გადიკისკისა ალმასამ. მშვიდობით. მომიკითხე ტყის-ქალი. კურდღელი გაგექცა, ჩაჩიკ, გაგექცა; ცუდი მონადირე ყოფილხარ. შესძახა ალმასამ და ცხენს შეუტია...

შორს, მაღალ მთის მწვერვალების გასწვრივ განთიადი ვარდის-ფრად ღებავდა ცის-კიდურს და ცვარ-ნამით დანამულ ველ-მინდორს პირველ სალამს აძლევდა...

ილია რუხაძე

ბმა თავად აზნაურობის მიწა წყალი ხელიდან არ გაუშვან მეთქი.

მეორე იმაში, რომ ვ. ორბელიანის პოეზიის შესახებ ლექციის წაკითხვის დროს გავბედე და ვსთქვი: სამშობლოსადმი სიყვარული უდიდესი გრძნობაა და ამ გრძნობას ყველა უნდა ვეფერებოდეთ მეთქი.

რამდენიც კი შეიძლებოდა, შემამკეს ამის გულისათვის.

რაც მაშინ დააკლდათ, ახლა მომიძღვნეს, ამას მიემატა წვრილმანებიც (მაგ. ილია ჭავჭავაძის დიდებულ მამულიშვილათ აღიარება, არჩილ ჯორჯაძის ქება და სხ.) მაგრამ უმთავრესი, **რისთვისაც „მერცხალი“** ასე კეთილათ მიხსენებს, **ეროვნული საკითხია**, ეროვნული საკითხი არ შეადგენს საზოგადოდ მოძღვრების მთავარ დებულებას.

ეროვნული საკითხის შესახებ დასში არავითარი საბოლოოთ გადაჭრილი აზრი არ არსებობს.

მიუხედავათ ამისა საკმარისია რომელიმემ საკუთარი გზა გაიკვლიოს ამ ჩვენი ქვეყნისათვის ფრიად დიდ მნიშვნელოვან საკითხში, რომ დასის მწერალთა ერთმა ნაწილმა ის ჯვარს აცვას.

ასე მომივიდა მეც.

მაგრამ ნათქვამია: ვისაც ტალახისა ეშინია, ის კარში არ გამოვაო. ჩემს სიცოცხლეში ქებაც ბევრი მსმენია, ლანძღვაც (უკანასკნელი განსაკუთრებით თანამოაზრეთაგან). ახლა ორივეს მივეჩვიე და ორივეს გულგრილათ ვუხვდები; მოსვენებით კი არ მოვისვენებ მანამდი, სანამ ჩვენი მშრომელი ხალხი ხმა—მაღლა არ გამოაცხადებს: ჩემთვის ქართველი ერის კულტურული განვითარება და მისი ტერიტორიის დაცვა განუყრელი და განუყოფელიაო. რომ ეს მალე იქნება, და მშრომელი ხალხი სწორეთ ასე გადასწყვეტს ეროვნულ საკითხს და არა ისე, როგორც ამას „მერცხალი“ ჩასჩიჩინებს, ამაში არავითარი ეჭვი არა მაქვს.

ივ. გომართელი.

ქუჩუ ქავთარაძის „დემონის“ სსოვნას!

ამას წინად „თემში“ წავიკითხე ბ. ილია ფერაძის გრძნობით აღსავსე წერილი უდროოდ დაკარგულ ნორჩ მწერლის ქუჩუ ქავთარაძის შესახებ.

თვალწინ წარმომომიდგა აცისკროვნებული სახე საყვარელ ქუჩუსი, გული ამიტოკდა, საშინლად ავიღელდი .. ოჰ, ულმობელო წუთისოფელო!

თითქო მისი მშვენიერი ხვედრი ცხოვრებისა შეშურდა საწუთოროებას!

მე და ქუჩუ ერთად ვსწავლობდით დაკვირვებული ადამიანი მაშინვე შეამჩნევდა, რომ ქუჩუ არ იყო ჩვეულებრივი ტიპი მოწაფეებისა. მუდამ სახე გაბრწყინვებული, მეტად ფაქიზი და სამაგალითოდ ზრდილი, საუცხოო შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზედ. ჩვენ დავუახლოვდით ერთმანეთს და დავმეგობრდით. მისი გულითადობა მართლაც საამქვეყნო არ იყო. ჩვენ მუდამ ვუზიარებდით ერთმანეთს ჩვენს შთაბეჭდილებას. რა თქმა უნდა, სასწავლებლის ატმოსფერა მას საშინლად ეზიზღებოდა. საუბედუროდ ჩვენდა საფუძველი ჩვენი აღზრდისა უნდა აღმოცენებულიყო იმ სასწავლებელში.

სამაგალითო, კეთილი გულის და მეტად ამხანაგების მოყვარული, ის ხშირად განცალკევებულად დადიოდა. აშკარა იყო, რომ მისს მაღალ სულს სულ სხვა ადგილი სჭირდებოდა. რაიმე მიზეზით გულნატკენი ხშირად მოვიდოდა ჩემთან და საყვედურს გამოსთქვამდა სასწავლებლის ცუდ პირობების გამო. რასაკვირველია, რაც შემეძლო ნუგეშს ვაძლევდი და ისიც ფერადოვან და კაზმულ ენით დამიწყებდა ხოლმე ძველ სახელოვან ქართველების დახასიათებას. თითქო მუზამ გამოუქროლაო, თავს მაღლა ასწევდა და აღფრთოვანებული ტურფა კოლხეთის ბუნების ზე-გავლენით წმინდა ტაძარს გუნდრუკს უკმევდა.

მშვენიერი ჭაბუკი იყო, მთელი თავის არსებით ნამდვილ რომაელს მოგაგონებდათ.

ჯერ კიდევ სულ ნორჩი იყო, როდესაც მან პირველად მამცნო თავისი საიდუმლო: აუწერელ მდგომარეობაში მყოფმა თავისი პირველი ლექსი წამიკითხა.

თუ არ ვცდები ის პირველი ლექსი ერეკლეს ხოტბა იყო. მშვენიერი ენა, თავისუფალი გაშლა აზრისა და მშვენიერი ჰანგი.

ხშირად, როდესაც ის კვლავ მომიტანდა ახალ ლექსებს და წამიკითხავდა, მე არ ვუჯერებდი: „შენი ნაწერი არ არის, ქუჩუ, რისთვის ცრუობ—მეთქი“.

უნდა გენახათ მაშინ თქვენ ის. სიამაყით შესდგებოდა და თან ლოყებ აწითლებული ნაღვლიანად შემომხედავდა. ბოლოს კი დავრწმუნდი, რომ ქუჩუ უთუოდ ღვთიური ცეცხლით დაჯილდოვებული იყო.

სასწავლებელი, რომ გავათავეთ ჩვენ დავშორდით ერთმანეთს, თუმცა-კი დრო გამოშვებით ვნახულობდი მას თბილისში. უნდა გენახათ ის, როგორი იმედებით იყო აღჭურვილი. მნახავდა თუ არა, სამაგალითო გულდადებით დამიწყებდა ხოლმე ბაასს. თანდათან ვითარდებოდა. სჩანდა წიგნების კითხვას გაეტაცნა. ძლიერ უყვარდა თეატრი და როგორც ახალგაზრდა მხატვარი მისი იდეალით სტკბებოდა. ხშირად მეტყოდა: „ნეტავ რა სანუკვარია ეს მუსიკა, რა ღვთაებრივი ცეცხლია, უამისოდ კაცობრიობა რა უნდა ყოფილიყო, ბაღი ეკლოვანი უვარდოთო“. თბილისში ყოფნის დროს, აღტაცებულმა მიამბო, რომ მისი ლექსი დასაბეჭდათ მიეღოთ. ვალ. გუნიას ძლიერ მოსწონებოდა ქუჩუს ნაწერები და ის იყო პირველად, თუ არ ვცდები „ნიშადერში“ დაებეჭდა მისი ლექსი.

მისი პირველი დებიუტის გამო სალიტერატურო ასპარეზზედ ორივე ეხარობდით. ამის შემდეგ რამდენიმე ხნით მე დავშორდი მას... და მალე უმანკო, ნორჩი მწერალი კიდეც მოშორდა სამუდამოდ მისს საყვარელ სამშობლოს.

კოლხეთის წალკოტს ვარდი მოსწყვიტა გრიგალმა ქარმა...

...ბულბული კვნესის... ქნარი შესწყდა...

პ. იმ—ლი.

კახეთში სოფლად.

მიუხედავად ნოემბრის შუა რიცხვებისა, კახეთში არა ჩვეულებრივი ამინდია, რის გამოც იგი თავის სიკეკლუცეს არა ჰკარგავს, ბირ-იქით წვიმიანის ეოველ დროს შეცვლის შემდეგ, უფრო საუცხოო სანახაობას წარმოადგენს: აგერ ფარტხ-გუთნით დახეზული ადაზნის ველ, როგორ ს